ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის

ოქმი N 5

დაბა ხარაგაული **2019 წლის 04 მარტი**

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი სულ საკრებულოს 31 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე -საკრებულოს აპარატის იურისტი.

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 31 წევრი

მომხრე-30

წინააღმდეგი-1

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარემ თ. ავალიშვილმა მოითხოვა მერის მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებაში ამავე სხდომაზე აისახოს მერიისათვის ავტომანქანის შესაძენად გათვალისწინებული 43000 ლარის გადანაწილების საკითხი,რომლის თაობაზე მას განემარტა, რომ უმრავლესობის მხარდაჭერა ამ საკითხთან დაკავშირებით ექნება, მაგრამ ნუ დავარღვეთ კანონს, ვიმსჯელოთ კომისიის ფორმატში და ჩვენი წინადადებები წარვუდგინოთ მერიას.

მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერიის ანგარიში 2018 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით განიხილა კომისიის სხდომაზე (განხილვის ოქმი თან ერთვის).

მ. ფხალაძემ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერიის ანგარიში 2018 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით განიხილა კომისიის სხდომაზე (კომისიის დასკვნა თან ერთვის).

დ. კიკნაძემ განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე , მოწვეული იყო მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, მინდა აღვნიშნო, რომ ხარაგაულში თუ რაიმეთი შეგვიძლია ვიამაყოთ ეს არის სპორტი და კულტურის სფერო. გვქონდა კრიტიკული შენიშვნები ჩატარებული რეორგანიზაციის მიმართ. ჩვენ მხარი რეორგანიზაციას იმიტომ დაუჭირეთ, რომ რაღაც გარკვეული თანხა გამოთავისუფლდებოდა და სოციალურ სფეროს მივხედავდით და არა იმიტომ, რომ 150 ლარიანი დამლაგებელი გაეშვათ სახლში, მოეწყოთ კომფორტი ეს გაუმართლებელია, ბრაილის შრიფტის სწავლება უნდა დაწყებულიყო მარტში ახლა ვიგებთ, რომ იწყება აპრილში.

ქ. ზუმბაძემ აღნიშნა, რომ ორი თვის წინ განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის სხდომაზე ვთქვით, რომ პრობლემებია კინოთეატრში, მას შემდეგ ორი თვე გავიდა პრობლემა ისევ გამოუსწორებელია, სპორტ სკოლაში დამლაგებლებს არ აქვთ ელემენტარული სამუშაო ნივთები, ბავშვები არიან სიცივეში, მტვერში, მოუწესრიგებელ გარემოში, ბაღების გაერთიანებაში იზრდება ხელფასები, მაშინ როცა მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, 2012 წლიდან ვსაუბრობთ ბაღის გაზიფიცირებაზე და დრემდე არ არის დადგენილი რა თანხა ჭირდება პროექტის განხორციელებას მე-3 სკოლას 2 წლის წინ დაპირდა მერი გარემონტებას იქ ბავშვების ყოფნა არის დანაშაული.

მ. ხვედელიძემ მე-3 საჯარო სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ პრობლემა მართლაც არის, ამჟამად გამოგვიყვეს 103 000 ლარი და იქნებ დაკეტილი ოთახები მაინც, რომ შევაკეთოთ, დაპირება მივიღეთ ხელმძღვანელისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ **მანანა ბარბაქაძემ** მიმართა მედიის წარმომადგენლებს აღნიშნული პრობლემების გაშუქება და მერისთვის მიწოდება.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ გასარკვევია რა ბედი ეწევა იმ 43 000 ლარს, რომელიც ავტომანქანის შესაძენად იყო გათვალისწინებული, ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობა არის პრობლემა ქვეყანაში, აუდიტის მოწვევა, მოგვცემდა შესაძლებლობას გაგვეკეთებინა კვალიფიციური შეფასება რა იყო მიზეზი შეუსრულებლობის, თუ საკრებულოს კონტროლის ფუნქციებს არ გავაძლიერებთ და არ გავზრდით მოქალაქეთა ჩართულობას შედეგს ვერ მივიღებთ.

ი. კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არის რეალურად წარმოდგენილი, რაც შესრულებულია ამისათვის მადლობა რაც არ არის შესრულებული ვიფიქროთ, რომ მომავალში არ განმეორდეს კარგია, რომ ყოფილიყო მერი ან მისის მადგილე და მიგვეღო პასუხები შეკითხვებზე, მე მაინტერესებს, რომ ხარაგაულში აღორძინდეს მევენახეობა და მოვითხოვ მერიის შესაბამისმა სტრუქტურებმა გააქტიურონ საქმიანობა ამ კუთხით.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ბუნებრივი რესურსებიდან შემოსავალი შეიძლება გაზრდილიყო თუ მოსახლეობას მიეცემოდა საშუალება მოჭრათ მერქანი, ამაზე უნდა იფიქროს მერიამ.

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ მერს ჰქონდა დაპირება მერქნის მოპოვებასთან დაკავშირებით, მაგრამ სამწუხაროდ დაპირება არ შესრულდა.

გ. თავზარაშვილმა მხარი დაუჭირა ი. მაღრაძის წინადადებას საკრებულოს კონტროლი ფუნქციების გააქტიურების შესახებ და შესთავაზა თანამშრომლობა. ერთად მოვიფიქროთ როგორ მოვიქცეთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

კენჭის ყრის პროცედურის დაწყებამდე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ პ. გოგოლაძემ მოითხოვა 5 წუთიანი შესვენება უმრავლესობასთან შეხვედრის მიზნით.

შესვენებიs დასრულების შემდეგ გამოცხადდა კენჭის ყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 31 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე – **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ 20 პროექტი გვქონდა მოწონებული, შევიდა 19 პროექტი, სოფელი ზარანი არ არის გათვალისწინებული, ვეკითხები ინფრასტრუქტურის სამსახურს და მპასუხობს სამინისტრომ გადაწყვიტა, 3 მლნ.-დან 1 მილიონი, რომ მიდის 1 ადმინისტრაციულ ერთეულზე და სხვა ისე რჩება ეს არ არის კარგი.

ი. პაქსაშვილმა აღნიშნა, რომ მეც დაჩაგრულად ვგრძნობ თავს, ბორითში 1 მეტრი გზაც კი არ დაგებულა, რა გვეშველება? მის ამ პოზიციას ბორითში არსებული პრობლემების შესახებ დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე **მ. ბარბაქაძე** და აღნიშნა, რომ პრინციპული იქნება მერის მიმართ თუ არაფერი გაკეთდება ბორითში.

გ. ხოჯაკაძემ აღნიშნა, რომ ვარძიაში დაიგო 500 მერტი გზა და ესეც ნაციონალების დროს, ფული გქონდეს და ვერ აკეთებდე საქმეს არ მესმის.

ვ. ტალახაძემ აღნიშნა, რომ ეს პრობლემა იქნება მანამ სანამ პოზიცია და ოპოზიცია ერთად არ დავდგებით და არ მოვთხოვთ მერს.

ი. კოპაძემ აღნიშნა, რომ ღორეშა- ბორითის დამაკავშირებელი გზა თითქმის ცენტრალური გზაა და არ კეთდება, მოსახლეობა სვავს შეკითხვებს და პასუხი არ აქვთ.

ლ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ სოფელ ვერტყვიჭალაში გაკეთდა ძვირფასი გზა სასაფლაომდე დარჩენილია 150 მეტრი და კიდევ მოვთხოვთ მერიას, რომ დაგვისრულოს ეს მონაკვეთი.

ი. ფერაძემ მოითხოვა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოწვევა, რათა გაგვარკვიოს თუ, როგორ არჩევენ პრიორიტეტებს.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ცვლილება განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრთა მიერ ნაციონალური მოძრაობის წევრებისაგან კვლავ დაისვა საკითხი 43000 ლარის განაწილების თაობაზე, მათმა პროტესტის ნიშნად დატოვეს კომისიის სხდომა, მიმაჩნია, რომ ემოციურ ფონზე მიღებული გადაწყვეტილება შედეგს ვერ მოგვიტანს, სხდომაზე მოწვეული იყო ასევე რესურსცენტრის ხელმძღვანელი მ. ვეფხვაძე, რომელმაც წარმოადგინა სკოლების ჩამონათვალი სადაც ჩატარდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებ, რაც შეეხება პროექტებს რაღაც უნდა შევიმუშაოთ. ცენტრალური ხელისუფლებიდან სტიქიაზე გამოყოფილი იყო თანხა, სად წავიდა ეს თანხა გასარკვევია საბოლოოდ კომისიამ საბიუჯეტო ცვლილებას მხარი დაუჭირა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა წინადადება წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილების კენჭის ყრის თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 31 წევრი

მომხრე 31

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე